



საარჩევნო დღის მონიტორინგის სიახლე - 12:00

აღნიშნული ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი მხარდაჭერით ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია "საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო" და შესაბამისად უცილობლად შესაძლოა არ ასახავდეს ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ა.შ.შ. ხელისუფლების შეხედულებებს.



30.05.2010

ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროექტის "2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის სამოქალაქო ინიციატივა - არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ამომრჩევნთა შესაძლებლობათა გაფართოება" ფარგლებში "საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო" ახორციელებს საარჩევნო დღის მონიტორინგს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი:

დოგორც ორგანიზაციის დამკვირვებლებს "ალიანსი საქართველოსათვის" ახალციხის წამომადგენლობის ხელმძღვანელმა ქალბატონმა თამარ გოგოლაძემ განუმარტა უპრეცედენტო რაოდენობის ხმის მიცემა დაფიქსირდა ახალციხის რიგ უბნებში. მისი განმარტებით წარმოუდგენელია დროის მოკლე მონაკვეთში ამდენ რაოდენობის ამომრჩევლებს მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა.

ქალბატონ თამარის ინფორმაციით ახალციხის მე-8 უბანზე დილის 11 საათისათვის ხმა მისცა 156 ამომრჩეველმა; მე-2 უბანზე 136; 21-ე უბანზე 250; 22-ე უბანზე 180; 19-ე უბანზე 150; 14-ე უბანზე 107 (9:30); 37-ე უბანზე 201; 30 უბანზე 200; 31-ე უბანზე 160 და 24 უბანზე 300 ამომრჩეველმა.

სოფელ ვაჩიანში, ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქში კვალავაც გრძელდება საარჩევნო ურნაში რამოდენიმე ბიულეტენის ერთდროულად ჩაყრის პრაქტიკა.

ახალქალაქის 37-ე საარჩევნო ოლქის მე-3 უბანზე ერთ-ერთ მოქალაქეს, რომლის ვინაობაც ვერ ზუსტდება მცდელობა ქჰონდა ხელმეორედ მიეცა ხმა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩევლებს რეგისტრაციაში ატარებენ და შესაბამისს ხელმოწერებსა და ბეჭდებს სვავენ ჟურნალში, გასცემენ საარჩევნო ბიულეტენსა და კონვრტს, ისე რომ რეალურად ამომრჩეველი არ გამოცხადებულა უბანზე, რითაც ცდილობენ აამაღლონ არჩევნებზე მონაწილეთა რიცხოვნობა.

გარდა აღნიშნულისა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის ოლქებში კვალავაც გრძელდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენის გარეშე, ასევე ოჯახის წევრების ნაცვლად ხმის მიცემის პრაქტიკა.

ორჯის 14-ე საარჩევნო უბანზე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) კომისიის წევრები უშუალოდ ყრიდნენ შევსებულ ბიულეტენებს საარჩევნო ურნებში.

ახალქალაქის მე-3 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლები ერთის ნაცვლად რამოდენიმე ბიულეტენს ყრიდნენ საარჩევნო ურნებში. ანალოგიური ვითარებაა არაგვას 12-ე საარჩევნო უბანზე.

ახალქალაქის 37-ე საარჩევნო ოლქის თამეჯდომარე ქალბატონი ჰასმიკ მარანგოზიანი ხმას აძლევდა 3-მე უბანზე. ხმის მიცემის პროცესში მან თავი აარიდა მარკირებისა და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო პროცედურების გავლას. შესაბამისად, საქმეში მხოლოდ მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელთა ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი მას გაეგვლო ხმის მისაცემად გათვალისწინებული პროცედურები.

სამცხე-ჯავახეთში უბნების დონეზე დაფიქსირებულია, კომისიის წევრთა მიერ ერთზე მეტი საჩივრის მიღებაზე უარის განაცხადება.

ქვემო ქართლის რეგიონი:

ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის 34-ე საარჩევნო უბნიდან სიტყვიერი შეურაცმყოფის მიყენების გამო მოხსნეს ოპოზიციის დამკვირვებელი ბატონი მერაბ მოდებაძე.

თეთრიწყაროს 26 საარჩევნო ოლქის სოფელ წინწყაროს 22-ე საარჩევნო უბანზე საარჩევნო ინსტრუქციები არ არის გაკრული მოსახლეობის უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის მე-10 საარჩევნო უბანზე უარი განაცხადეს ნაზიმ ტალიბოვის დამკვირვებლად რეგისტრაციაზე. მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ მის დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული იყო, რომ მას აქვს ყველა უბანში გადაადგილების უფლება და მისი ერთ უბანზე ყოფნა არ შეიძლება. მოგვიანებით ნაზიმ ტალიბოვი დარეგისტრირებული იქნა. აღნიშნულ ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

დმანისის 24-ე საარჩევნო ოლქის მე-7 უბანზე უარი განაცხადეს ხასრატ მამედოვის დამკვირვებლად რეგისტრაციაზე, რადგან არ იცოდნენ თუ სად დაეფიქსირებიან აღნიშნული ფაქტი. ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

გარდაბნის 21 საარჩევნო ოლქის სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ამომრჩეველმა 3 ჯერ მისცა ხმა. უბანზე დაფიქსირდა 3 არასრულწლოვანი ამომრჩეველი. უბანზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდა მარკირების აპარატი, თუმცა უბანი აღნიშნულის გამო არ დახურულა. ასევე, დილიდან, რამოდენიმე საათის განმავლობაში საარჩევნო უბანს არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია. კენჭისყრა მიმდინარეობს შეუსაბამო სივრცეში - კომისიის წევრები სხედან ერთ ოთახში, ხოლო საარჩევნო ყუთი განლაგებული მეორე ოთახში. აღნიშნულ ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის სოფელ სადახლოს 29-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ადამიანმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა.

გარდაბნის 21 საარჩევნო ოლქის 29-ე საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ერთი და იმავე ადამიანმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. დამკვირვებლებს ასევე გაუჩნდათ ეჭვი, რომ ოთახიდან გატანილ იქნა რამოდენიმე გამოუყენებელი ბიულეტენი.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ბირლიკის 27-ე საარჩევნო უბანზე გამგეობის წარმომადგენელმა ქალბატონმა ლელა გოგოლაურმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ საუბნო კომისიის მდივანი გუსეინ კასუმოვი ქართული ენის არ ცოდნის გამო საარჩევნო დოკუმენტაციას კომისიის ერთ-ერთ წევრს ხათუნა აბრამიშვილს ავსებინებდა. ხმაურიანი გარჩევნის შემდეგ გოგოლაურმა საჩივარი დაწერა და კომისიას დაუტოვა.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი კომისიის წევრმა ხმის მიცემის დროს, როდესაც იგი ბიულეტენს კონვერტში ათავსებდა აღმოაჩინა, რომ კონვერტში მოთავსებული იყო დიდი რაოდენობით შემოხაზული ბიულეტენები (ნომერი 5).

მარნეულის 22 საარჩევნო ოლქის ყიზილაჯლოს 49-ე საარჩევნო უბანზე მოქალაქე ზიქირ აბდუნაევმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. დამკვირვებელთა გაპროტესტების საფუძველზე მოქალაქემ ბრძანა, რომ იგი მოვიდა მე-5 ნომრის სასარგებლოდ ხელმეორედ ხმის მისაცემად.

ზოგადად, თვალშისაცემია დიდი რაოდენობის ხალხის უბნებთან ყოფნა, რომლებიც ხვდებიან სამარშრტურო ტაქსებს და შელაპარაკებაში შედიან ამომრჩევლებთან, ზოგჯერ აგრესიულადაც კი, რაზეც იქ მყოფი პოლიცია თავად არ იჩენს რეაგირების ინიციატივას.

ამომრჩეველთა აქტიობა 12.00

ბოლნისის რაიონი:

№47 – 2350

№30 – 261

№31 – 230

№62 – 220

№49 – 456

№9 – 461

№46 – 130

№51 – 240

№38 – 225

№32 – 180

№50 – 350

№27 – 144

№33 – 220

დმანისის რაიონი

№1 – 255

თეთრი წყაროს რაიონი

№1 – 143

№2 – 113

№20 – 120

№34 – 44

№23 – 90

მთლიანად თეთრი წყაროს რაიონში - 1 469

გარდაბნის რაიონი

№6 – 150

№2 – 68

№61 – 417

მთლიანად გარგაბნის რაიონში - 18 464

მარნეულის რაიონი

№1 – 52

№50 – 238

№27 – 111

№49 – 220

№83 – 235

№85 – 36

№64 – 60

№12 – 170

მთლიანად მარნეულის რაიონში - 18 464